ხარაგაულის მუნიციპალიტეტის

ა(ა)იპ „სპორტის ცენტრი“-ს

2025 -2026 წელს გაწეული მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

ა(ა)იპ „სპორტის ცენტრი“ 2025 წლის განმავლობაში საქმიანობას ახორციელებდა საქართველოს კანონმდებლობის, სპორტის სფეროში მოქმედი რეგულაციებისა და ორგანიზაციის წესდების შესაბამისად.

ა(ა)იპ „სპორტის ცენტრი“-ს მთავარი მიზანია ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტში ჩართვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და სპორტსმენების ფიზიკური განვითარება.

2025 წლის განმავლობაში ცენტრი აქტიურად მუშაობდა სასწავლო-სამწვრთნელი პროცესის გაუმჯობესებაზე, სპორტული ღონისძიებების ორგანიზებაზე, სხვადასხვა ჩემპიონატში მონაწილეობის მიღების უზრუნველყოფაზე.

ცენტრის საქმიანობა მიმართულია სპორტსმენების უსაფრთხო, მოწესრიგებულ და განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოს შექმნაზე.

სპორტული სკოლის ძირითადი საქმიანობა

2025 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ „სპორტის ცენტრში“ გაერთიანებული იყო 15 სპორტული მიმართულება, ესენია: ფეხბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა,კარატე ტაიკვონდო, სპორტული კარატე, მძლეოსნობა, მკლავჭიდი, რაგბი, კინგ-ბოქსინგი, ჭადრაკი, კიო - კუშინ კარატე.

სულ ფუნქციონირებდა 22 ჯგუფი. ჯგუფები ფუნქციონირებენ - დაბაში, ბორითში, ხევში, კიცხში,ბორში, ვარძიაში, ვერტყვიჭალაში, ნადაბურში, ღორეშაში და ვახანში.

2026 წლის მდგომარეობით ფუნქციონირებს 13 სპორტული მიმართულება და 21 სპორტული სექცია.

2025 წლის მდგომარეობით სპორტულ ცენტრში დასაქმებული იყო 58 თანამშრომელი, მათ შორის 36 ტექნიკური და ადმინისტრაციული

პერსონალი 22 მწვრთნელი. დღეის მდგომარეობით დასაქმებულია 61 თანამშრომელი, მათ შორის 40 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 21 მწვრთნელი.

სპორტის სხვადასხვა სახეობას ეუფლება - 410 მოსწავლე.

სასწავლო-საწვრთნელი პროცესი მიმდინარეობდა წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად.

სპორტსმენების ფიზიკურ მომზადებაზე

ტექნიკური უნარების განვითარებაზე

გუნდური მუშაობის განვითარებაზე;

სპორტული ეთიკისა და პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებაზე.

სასწავლო-სამწვრთნელო პროცესი

2025 წლის განმავლობაში სპორტულ სკოლაში სასწავლო-სამწვრთნელი პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობდა. ყველა ჯგუფს ჰქონდა საკუთარი სავარჯიშო განრიგი. ვარჯიშები ტარდებოდა შესაბამის სპორტულ სივრცეებში და მიმდინარეობდა უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

წლის განმავლობაში: ჩატარდა რეგულარული ვარჯიშები, გაიმართა შიდა ჩემპიონატები, მოეწყო ამხანაგური შეხვედრები, ჩატარდა საჩვენებელი თამაშები. განხორციელდა სპორტსმენების შერჩევა სხვადასხვა ტურნირისთვის.

სპორტული სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ბავშვების ჯანმრთელობას, დისციპლინას და ჯანსაღ გარემოს.

სპორტის ცენტრის ადმინისტრაცია და მწვრთნელები მუდმივად თანამშრომლობდნენ მშობლებთან, რათა სასწავლო-სამწვრთნელი პროცესი უფრო ეფექტიანი ყოფილიყო.

2025 წლის სპორტული ღონისძიებები:

2025 წლის განმავლობაში სპორტული სკოლის სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ადგილობრივ, რეგიონულ და რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძიებაში. სპორტსმენებმა სხვადასხვა ტურნირზე მოიპოვეს წარმატებები, მედლები, სიგელები და საპრიზო ადგილები.

2025 წლის 14 იანვარს ქალაქ ბათუმში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც 92 კგ. წონით კატეგორიაში გაიმარჯვა ხარაგაულელმა ზაურ ბერაძემ და დაიკავა მესამე ადგილი.

2025 წლის 25 იანვარს ქალაქ გორში ჩატარდა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონის იოსებ დურგლიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მკლავჭიდში,სადაც მონაწილეობა მიიღო სპორტის ცენტრის მოსწავლეებმა.

55 კგ წონით კატეგორიაში მარჯვენა ხელში მესამე ადგილი დაიკავა იური გოგნაძემ.

75 კგ წონით კატეგორიაში მარჯვენა ხელში მეორე ადგილი დაიკავა ნიკოლოზ ჩხიკვაძემ.მწვრთნელი მერაბ იჩქიტიძე

2025 წლის 7 თებერვალს ხარაგაულის სპორტის ცენტრში ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში მოსწავლეთა შორის (ვაჟები, გოგონები), სადაც მონაწილეობა მიიღეს: ხარაგაულის N2,N3, მარელისის, ლაშის, ხიდრის, ზვარის, მოლითის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა.

ტურნირში გამარჯვებულები გახდნენ:

ვაჟები :

I.ადგილი მიშიკო კაციტაძე(ხიდრის საჯარო სკოლა)

II.ადგილი გიგა ბერაძე(ხიდრის საჯარო სკოლა)

III.ადგილი ნიკოლოზ ლაცაბიძე(N3 საჯარო სკოლა)

გოგონები :

I.ადგილი მარიამ ბერაძე(ხიდრის საჯარო სკოლა)

II.ადგილი ხატია ბერაძე(ხიდრის საჯარო სკოლა)

III.ადგილი თამარ ლიპარტია(N2 საჯარო სკოლა)

ტურნირში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით

2025 წლის 15 თებერვალს ბაღდათის მუნიციპალიტეტში ჩატარდა მევლუდი ჯიხვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი პირველი ღია ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს „სპორტის ცენტრის“ მოსწავლეებმა.

66 წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა სანდრო ინასარიძემ. მწვრთნელი რევაზ შერგელაშვილი.

2025 წლის 23 თებერვალს თბილისის ,,დინამოს“ აკადემიაში 2013-2014 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა შერჩევის დასკვნითი ეტაპი გაიმართა,სადაც დინამოს საფეხბურთო სკოლების ნაკრებ გუნდში ჩაირიცხა ,,სპორტის ცენტრის“ ფეხბურთელი ანდრია კვინიკაძე.

2025 წლის 12 მარტს ქ.ზესტაფონში გაიმართა სალიცენზიო შეჯიბრება მეორე სარეიტინგო ტურნირებისთვის 2009-2010 წლებში დაბადებულთა შორის ძიუდოში, სადაც მონაწილეობა მიიღო "სპორტის ცენტრის"მოსწავლემ თორნიკე თაბუკაშვილმა და მძიმე წონით კატეგორიაში დაიკავა პირველი ადგილი. (მწვრთნელი ზაზა ბერაძე)

2025 წლის 16 მარტს ქ.თბილისში ჩატარდა ევრაზიის პირველობა კუნგ-ფუ ში, სადაც მონაწილეობა მიიღეს "სპორტის ცენტრის„ მოსწავლეებმა.

I .ადგილი საბა ორთოიძე.

II.ადგილი გიორგი ასათიანი.

მწვრთნელი ნოდარ გიორგაძე

2025 წლის 28 მარტს ხარაგაულის ,,სპორტის ცენტრის“ მინი სტადიონზე ერთ დღიანი კემპი ჩატარდა, რომელსაც ,,დინამოს“აკადემიის მწვრთნელი პაატა გოცირიძე და სპორტის ცენტრის ფეხბურთის სექციის მწვრთნელები: გოჩა გელაშვილი და პაატა ლურსმანაშვილი უძღვებოდნენ.

დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლასა და ხარაგაულის სპორტის ცენტრს შორის გაფორმებული იყო თანამშრომლობის მემორანდუმი,რომლის ფარგლებშიც ჩატარდა წვრთნები.

2025 წლის 28 მარტს "სპორტის ცენტრის" სპორტულ დარბაზში ჩატარდა გოჩა ბუაჩიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი საჯარო სკოლის 2013-2014 წწ. დაბადებულ მოსწავლეთა შორის მინი ფეხბურთში აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობა მიიღეს: დაბის N2, ვაშლევის, ზვარის, ბორითის, ბორის, ვარძიის, ვერტყვიჭალის და სასულიერო გიმნაზიის სკოლის გუნდებმა. შეხვედრა სასულიერო გიმნაზიის გამარჯვებით დასრულდა.

2025 წლის 29 მარტს ჩოხატაურში ჩატარდა ასაკობრივი ფესტივალი რაგბში 2010 -2011 წწ დაბადებულთა შორის,სადაც მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის "სპორტის ცენტრის" მოსწავლეებმა. მწვრთნელი: გიორგი ნინიკაშვილი

2025 წლის 28-30 მარტს. ქ თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი მკლავჭიდში, სადაც მონაწილეობა მიიღეს "სპორტის ცენტრის"მოსწავლეებმა.

50 კგ წონით კატეგორიაში მარცხენა და მარჯვენა ხელში პირველი ადგილი დაიკავა ხატია კიკნაძემ.

55კგ წონით კატეგორიაში მარჯვენა ხელში პირველი ადგილი დაიკავა ამირან კამკამიძემ.

75 კგ წონით კატეგორიაში მარცხენა ხელში პირველი ადგილი დაიკავა ნიკოლოზ ჩხიკვაძემ. მკლავჭიდის სექციის მწვრთნელი მერაბ იჩქიტიძე

2025 წლის 10 აპრილს" სპორტის ცენტრის„ სპორტულ დარბაზში ჩატარდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის პირველობა ძიუდოში 2011-2012 და 2013-2014 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის, სადაც მონაწილეობა მიიღეს: ხარაგაულის, ღორეშის, ვახანის, ხევის და ბორითის ძიუდოს სექციის მოსწავლეებმა.

სხვადასხვა წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები

2025 წლის 13 აპრილს ხარაგაულის "სპორტის ცენტრის" დარბაზში ღირსეული ხარაგაულელის, მწვრთნელის,სპორტის პედაგოგის -გოჩა ბუაჩიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ამხანაგური მატჩი შედგა მინი ფეხბურთში.

2025 წლის 16 აპრილს ქ. ხობში ჩატარდა დასავლეთ საქართველოს პირველობა მკლავჭიდში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის "სპორტის ცენტრის" აღსაზრდელებმა.

65 კგ წონით კატეგორიაში მარჯვენა ხელში მეორე ადგილი დაიკავა ხატია კიკნაძემ.მწვრთნელი მერაბ იჩქიტიძე.

2025 წლის 23-25 აპრილს ქ. გორში ჩატარდა საქართველოს პირველობა 20 წლამდელთა შორის, თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობა მიიღო "სპორტის ცენტრის" მოსწავლემ ვახო ნიქაბაძემ და 92 კგ წონით კატეგორიაში დაიკავა მესამე ადგილი. მწვრთნელი რევაზ შერგელაშვილი

2025 წლის 25 აპრილს "სპორტის ცენტრის" სპორტულ დარბაზში ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა კალათბურთში მოსწავლეთა შორის ვაჟებში. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს: დაბის N2,N3,ნადაბურის, ხევის, მარელისის, ბორის, ვერტყვიჭალის და სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეებმა.

ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს დაბის N2 და N 3 საჯარო სკოლის გუნდი დაუპირისპირდა და შეხვედრა მეორე საჯარო სკოლის გამარჯვებით ანგარიშით დასრულდა.

2025 წლის 3 მაისს "სპორტის ცენტრის" და საქართველოს შოტოკან კარატეს საერთაშორისო ფედერაციის ორგანიზებით,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალაში ჩატარდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ღია ჩემპიონატი კარატეში.

ტურნირში მონაწილეობა მიიღეს: ვერტყვიჭალის, ზუგდიდის, წალენჯიხის,ზესტაფონის და თბილისის შოტოკან კარატეს მოსწავლეებმა.გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები

2025 წლის 11 მაისს ქ.ჭიათურაში ჩატარდა ჭიათურის ღია ჩემპიონატი ტაეკვანდოში, სადაც მონაწილეობა მიიღეს "სპორტის ცენტრის მოსწავლეებმა.

2025 წლის 16 მაისს ხარაგაულის "სპორტის ცენტრის„ სპორტულ დარბაზში ჩატარდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის პირველობა მკლავჭიდში.

ტურნირში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის სიგელებით

2025 წლის 18 მაისს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს კლუბებს შორის ღია რინგი კინგბოქსინგში, სადაც მონაწილეობა მიიღეს "სპორტის ცენტრის" მოსწავლეებმა.

პირველი ადგილი დაიკავეს საბა სულაქველიძემ და საბა ორთოიძემ .

"სპორტის ცენტრის" კინგბოქსინგის სექციის მწვრთნელი ნოდარ გიორგაძე.

2025 წლის 17-18 მაისს ქ. ბაღდათში ჩატარდა თეიმურაზ ვაშაყმაძის V რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს "სპორტის ცენტრის" კიცხის სექციის მოსწავლეებმა.

48 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა ნიკოლოზ სოფრომაძემ.

ხარაგაულის "სპორტის ცენტრის" კიცხის სექციის ბერძნულ რომაული ჭიდაობის მწვრთნელი ლაშა ჩაჩანიძე.

2025 წლის 22 მაისს ხარაგაულის "სპორტის ცენტრის" ორგანიზებით ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა მოსწავლეთა შორის ფრენბურთში.

ტურნირში მონაწილეობა დაბის N2, N3, საღანძილის და სასულიერო გიმნაზიის სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს.

ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს სასულიერო გიმნაზიის და დაბის N3 საჯარო სკოლის გუნდები დაუპირისპირდნენ და შეხვედრა დაბის N3 საჯარო სკოლის გამარჯვებით დასრულდა

2025 წლის 25 მაისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორითში ჩატარდა ლაშა კურტანიძის ხსოვნის ტურნირი ფეხბურთში, სადაც მონაწილეობა მიიღეს:დაბა ხარაგაულის, ხევის და ბორითის ფეხბურთის სექციის მოსწავლეებმა, ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს ხევის და ბორითის გუნდები შეხვდნენ და გამარჯვება ბორითის გუნდმა მოიპოვა.

2025 წლის 1 ივნისს ქ. ჭიათურაში გაიმართა ჭიათურის მერიის თასი ბერძნულ- რომაულ ჭიდაობაში 2009-2010 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის "სპორტის ცენტრის" კიცხის სექციის მოსწავლეებმა.

92 კგ წონით კატეგორიაში III ადგილი დაიკავა თამაზ მიქიაშვილმა,

48კგ წონით კატეგორიაში III ადგილი დაიკავა ტარიელ ჭიჭინაძემ.

მწვრთნელი ლაშა ჩაჩანიძე.

2025 წლის 5 ივნისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევში ჩატარდა, მარლენ გრიგალაშვილის ხსოვნის ტურნირი მძლეოსნეობაში," გაზაფხულის მერცხლები 2025" სადაც მონაწილეობა მიიღეს: ხევის, ნადაბურის, ვაშლევის და უბისის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა

2025 წლის 10 ივნისს ქ. ქუთაისში ჩატარდა კოლია ქვარიანის ხსოვნის ტურნირი , 2008-2010 წლებში დაბადებულ ძიუდოსტებს შორის,სადაც მონაწილეობა მიიღო ხარაგაულის "სპორტის ცენტრის" ხევის სექციის მოსწავლემ თორნიკე ხაჩიძემ და დაიკავა მესამე ადგილი. ხევის ძიუდოს სექციის მწვრთნელი სოსო ხაჩიძე.

2025 წლის 11 ივნისს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სპორტულ დარბაზში "სპორტის ცენტრის"ორგანიზებით ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ანზორ მაღრაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესბუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობა მიიღეს: ხარაგაულის, საჩხერის, ჭიათურის, თერჯოლის, ცაგერის, ზესტაფონის, ქუთაისის და ბაღდათის თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა.

ტურნირში გამარჯვებულები და პრიზიორები დააჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის სიგელებით და მედლებით.

2025 წლის 13-15 ივნისს ქ. ზესტაფონში ჩატარდა ზაზა ედიბერიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ- რომაულ ჭიდაობაში, 2013-2014 წწ დაბადებულ სპორტსმენთა შორის, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის "სპორტის ცენტრის"კიცხის სექციის მოსწავლეებმა.

62 კგ წონით კატეგორიაში III ადგილი დაიკავა გიორგი ჯიმშიაშვილმა.

ბერძნულ რომაული-ჭიდაობის კიცხის სექციის მწვრთნელი ლაშა ჩაჩანიძე.

2026 წლის 18 ივნისს ქარელის მუნიციპალიტეტში ჩატარდა თამაზ ჩოტკერაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი მკლავჭიდში.

75კგ წონით კატეგორიაში მარცხენა და მარჯვენა ხელში პირველი ადგილი დაიკავა ხარაგაულის ა ა ი პ "სპორტის ცენტრის" მოსწავლემ ნიკოლოზ ჩხიკვაძემ. მკლავჭიდის სექციის მწვრთნელი პედაგოგი მერაბ იჩქიტიძე.

2026 წლის 26-29 ივნისს ქ. ქუთაისში გაიმართა აკაკი ნუცუბიძის რესბუპლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის ა(ა)იპ "სპორტის ცენტრის კიცხის სექციის მოსწავლეებმა.

62 კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა გიორგი ჯიმშიაშვილმა.

52 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილზე გავიდა გიორგი კვაშილავა.

მწვრთნელი ლაშა ჩაჩანიძე.

2026 წლის 26-29 ივნისს ქ. ქუთაისში გაიმართა აკაკი ნუცუბიძის რესბუპლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის ა(ა)იპ "სპორტის ცენტრის კიცხის სექციის მოსწავლეებმა:

62 კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა გიორგი ჯიმშიაშვილმა.

52 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილზე გავიდა გიორგი კვაშილავა.მწვრთნელი ლაშა ჩაჩანიძე.

2026 წლის 26-29 ივნისს ქ. წყალტუბოში გაიმართა იმერეთის ღია ჩემპიონატი ტაეკვონდოში, სადაც წარმატებით იასპარეზეს ხარაგაულის ა(ა) იპ "სპორტის ცენტრის„ კიცხი-ვარძიის სექციის მოსწავლეებმა.

პირველი ადგილი - ლუკა არჩვაძე.

მეორე ადგილი-ბარბარე მდივნიშვილი,ფრიდონ ხიჯაკაძე,მიხეილ დვალი.

მესამე ადგილი-გიორგი ქვემოთიანი, საბა ღონღაძე.

მწვრთნელი დავით არჩვაძე.

2026 წლის 31 ივლისიდან 3 აგვისტომდე ქ. ბათუმში ჩატარდა ბათუმის ღია ჩემპიონატი ტაეკვანდოში, სადაც მონაწილეობა მიიღო ექვსმა ქვეყანამ, მათ შორის, ხარაგაულის "სპორტის ცენტრის" ტაეკვანდოს სექციის სპორტსმენებმა. ჩემპიონატში საპრიზო ადგილები დაიკავეს ფრიდონ ხიჯაკაძემ, დემეტრე პაპიძემ, ბარბარე მდივნიშვილმა და ქრისტინე ხიჯაკაძემ. მწვრთნელი დავით არჩვაძე.

2026 წლის 8 აგვისტოს მინი სტადიონზე ჩატარდა ვანო ბანცაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში მოყვარულთა შორის.

ფინალში ერთმანეთს ფარცხნალის "არენა" და ლაშის ფეხბურთელთა გუნდები დაუპირისპირდნენ.გამარჯვება მოიპოვა ლაშის გუნდმა.

ჩემპიონატში გამარჯვებულისა და მონაწილეებისათვის ჯილდოები დააწესა ვანო ბანცაძის ოჯახმა,მეგობრებმა,ოჯახის ახლობელმა საქართველოს უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსმა გივი ნეფარიძემ , სამშენებლო კომპანია "ოსტატმა„ და ა(ა)იპ „სპორტის ცენტრმა“.

2026 წლის 12 აგვისტოს სოფელ ვახანში ხარაგაულის სპორტის ცენტრის ორგანიზებით და მხარდაჭერით მერაბ არევაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული ტურნირი ქართულ ჭიდაობაში და როლანდ არევაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი დოღი გაიმართა.

ტურნირში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით, მედლებით და სიგელებით.

2025 წლის 26 აგვისტოს ხარაგაულის სპორტის ცენტრის ორგანიზებით სოფელ თეთრაწყაროში ჩატარდა ნოდარ თავზარაშვილის ხსოვნის ტურნირი მინი ფეხბურთში ვეტერანებს შორის.ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს დაუპირისპირდა თეთრაწყარო- ჯიხველა და შეხვედრა თეთრაწყაროს გუნდის

გამარჯვებით დასრულდა.გამარჯვებული გუნდი სპორტის ცენტრის მიერ დაჯილდოვდა თასით და სიგელებით.

2025 წლის 14 ნოემბერს ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა მინი ფეხბურთში 2013-2014 წწ დაბადებულ მოსწავლეთა შორის.ტურნირში მონაწილეობა მიიღეს: ხარაგაულის ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის,დაბა ხარაგაულის N2, კიცხის, ბორის, ვაშლევის, ვერტყვიჭალის, ღორეშის საჯარო სკოლის და სპორტსკოლის(უმცროსი ასაკი)ფეხბურთელთა გუნდებმა.გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვდა თასით ხოლო საუკეთესო მოთამაშეებს გადაეცათ შესაბამისი ხარისხის სიგელები.

2025 წლის 21 - 23 ნოემბერს ქალაქ ხაშურში ჩატარდა ნიკოლოზ ხვედელიძის და ვასილ ჩოჩაშვილის ღია რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის ა(ა) იპ "სპორტის ცენტრის"კიცხის სექციის მოსწავლეებმა.

52 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა ნიკოლოზ სოფრომაძემ.

57 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა გიორგი კვაშილავამ.

მწვრთნელი ლაშა ჩაჩანიძე.

2025 წლის 28-30 ნოემბერს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩატარდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქართველ და ებრაელ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის ა(ა) იპ "სპორტის ცენტრის" მოსწავლეებმა.

32.კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა- დავით ყანჩაველმა.

60.კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილზე გავიდა- ანდრია ლომსაძე.

თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელი- რევაზ შერგელაშვილი

2025 წლის 5 დეკემბრის ხარაგაულის ა(ა)იპ"სპორტის ცენტრის" ორგანიზებით სპორტულ დარბაზში ჩატარდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის პირველობა მკლავჭიდში მოსწავლეთა შორის.

2025 წლის 12 დეკემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სპორტის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ტარიელ შავიძის ხსოვნის ტურნირი ძიუდოში(ვაჟები)2015-2016 და 2013-2014 და (გოგონები)2012-2013 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის,სადაც მონაწილეობა მიიღეს:დაბა ხარაგაულის, ბორითის, ღორეშის,

ვახანის, ზესტაფონის, ჭიათურის და საჩხერის ძიუდოის სექციის მოსწავლეებმა. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სიგელებით, მედლებით და თასით.

2025 წლის 17-18 დეკემბერს ქ.წყალტუბოში ჩატარდა აკაკი კიბორძალიძის და დავით ხახალეიშვილის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში, სადაც მონაწილეობა მიიღო ხარაგაულის ა(ა)იპ "სპორტის ცენტრის“ ძიუდოს სექციის მოსწავლემ.

55კგ III ადგილი დაიკავა თორნიკე ხაჩიძემ. მწვრთნელი სოსო ხაჩიძე.

2025 წლის 18-21 დეკემბერს ქ.გორში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ტაეკვანდოში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის "სპორტის ცენტრის" ტაეკვანდოს ბორის და ვარძიის სექციის მოსწავლეებმა.

I.ადგილი ინა ღონღაძე.

II.ადგილი ბარბარე მდივნიშვილი

II.ადგილი მარიამ ქვემოთიანი

lII.ადგილი გიორგი ქვემოთიანი.

2025 წლის 23 დეკემბერს ქ.ხაშურში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ხაშურის საპატიო მოქალაქის ვახტანგ კვინიკაძის XVIII საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 2012-2013 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის ააიპ "სპორტის ცენტრის" მოსწავლეებმა.

32.კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა- დავით ყანჩაველმა

62კგ წონით კატეგორიაში პირველ ადგილზე გავიდა- ანდრია ლომსაძე

თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელი- რევაზ შერგელაშვილი.

2025 წლის 26-27 დეკემბერს ქალაქ ქუთაისში ჩატარდა გივი(გია) სიხარულიძის რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ- რომაულ ჭიდაობაში,უმცროსი ასაკის მოჭიდავეთა შორის, სადაც წარმატებით იასპარეზეს ხარაგაულის ააიპ "სპორტის ცენტრის" ბერძნულ-რომაული ჭიდაობის კიცხის სექციის მოსწავლეებმა ,მწვრთნელი ლაშა ჩაჩანიძე.

ქალაქ ბათუმში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. აღნიშნულ ჩემპიონატზე მონაწილეობა მიიღო ხარაგაულელმა სპორტსმენმა,ააიპ ხარაგაულის "სპორტის ცენტრის" თავისუფალი ჭიდაობის

სექციის კონსულტანტმა ზაურ ბერაძემ 92 კგ წონით კატეგორიაში და დაიკავა პირველი ადგილი.

2026 წლის სპორტული ღონისძიბები:

2026 წლის 25 იანვარს ქ.გორში ჩატარდა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონის იოსებ დურგლიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მკლავჭიდში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის" სპორტის ცენტრის" მკლავჭიდის სექციის მოსწავლეებმა.

85 კგ წონით მარჯვენა ხელში მესამე ადგილი დაიკავა ნიკოლოზ ჩხიკვაძემ. ასევე მძიმე წონით კატეგორიაში მარცხენა ხელში მეორე ადგილი დაიკავა ნიკოლოზ ჩხიკვაძემ.მკლავჭიდის მწვრთნელ პედაგოგი მერაბ იჩქიტიძე.

2026 წლის 13 თებერვალს ხარაგაულის სპორტის ცენტრის სპორტულ დარბაზში გაიმართა მუნიციპალიტეტის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში მოსწავლეთა შორის (ვაჟები და გოგონები).

გოგონები:

I ადგილი – თამარ ლიპარტია (დაბის N2 საჯარო სკოლა)

II ადგილი – მარიამ ბერაძე (ხიდრის საჯარო სკოლა)

III ადგილი – ხატია ბერაძე (ხიდრის საჯარო სკოლა)

ვაჟები:

I ადგილი – მიშიკო კაციტაძე (ხიდრის საჯარო სკოლა)

II ადგილი – ნიკოლოზ გაგოშიძე (ხიდრის საჯარო სკოლა)

III ადგილი – ლაზარე ლომსაძე (დაბის N3 საჯარო სკოლა)

2026 წლის 13-15 თებერვალს ქ.ქუთაისში გაიმართა ჯემალ კოსტავას და რომან ლევიძის ხსოვნის რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

ტურნირში მონაწილეობდნენ ხარაგაულის ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ კიცხის სექციის სპორტსმენები.

29 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავეს: ნიკოლოზ მდინარაძემ და გაბრიელ ზვიადაძემ.მწვრთნელ-პედაგოგი ლაშა ჩაჩანიძე.

2026 წლის 20 თებერვალს ხარაგაულის "სპორტის ცენტრი"-ს სპორტულ დარბაზში ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა ჭადრაკში მოსწავლეთა შორის (ვაჟები და გოგონები).

გოგონები:

I ადგილი –მარიამ ბლიაძე (ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა)

II ადგილი – მარიამ ჭყოიძე (მარელისის საჯარო სკოლა)

III ადგილი –ბარბარე ბუაჩიძე (სასულიერო გიმნაზია)

ვაჟები:

I ადგილი – ვაკო ჯავახიშვილი(ღორეშის საჯარო სკოლა)

II ადგილი –ლუკა კურტანიძე(ღორეშის საჯარო სკოლა)

III ადგილი –საბა ლიპარტია(დაბის მეორე საჯარო სკოლა)

2026 წლის 27-28 თებერვალს და 1 მარტს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს ლიგის ჩემპიონატი ტაეკვონდოში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის "სპორტის ცენტრი"-ს ბორის და ვარძიის სექციის მოსწავლეებმა.

გუნდური ანგარიშით მე-4 ადგილი დაიკავეს.

II-ადგილი ბარბარე მდივნიშვილი.

III- ადგილი ინა ღონღაძე.

III-ადგილი დემეტრე პაპიძე.

III-ადგილი ქრისტინე ხიჯაკაძე.

ტაეკვანდოს სექციის მწვრთნელ- პედაგოგი დავით არჩვაძე.

2026 წლის 15 მარტს ქ. ზესტაფონში გაიმართა სალიცენზიო შეჯიბრება II სარეიტინგო ჩემპიონატისთვის ძიუდოში, 2014–2015 წლებში დაბადებულ ვაჟთა შორის.(დასავლეთ საქართველო)

ტურნირზე წარმატებით იასპარეზა ხარაგაულის ა(ა)იპ „სპორტის ცენტრი“-ს ძიუდოს სექციის ახალგაზრდა სპორტსმენმა ცოტნე ხარატიშვილმა და დაიკავა I ადგილი .მწვრთნელი: ზაზა ბერაძე.

2026 წლის 17- 18 მარტს ქ.გორში ჩატარდა საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 20 წლამდელთა შორის, სადაც წარმატებით იასპარეზა ხარაგაულელმა ვახო ნიქაბაძემ და 92 კგ წონით კატეგორიაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.მწვრთნელი რევაზ შერგელაშვილი.

2026 წლის 26-27 მარტს, ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა მკლავჭიდში 18 წლამდელთა შორის,სადაც წარმატებით იასპარეზა ხარაგაულის ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ მოსწავლემ- ხატია კიკნაძემ

58 კგ წონით კატეგორიაში მან ,როგორც მარჯვენა, ისე, მარცხენა ხელში, პირველი ადგილი დაიკავა და ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. მწვრთნელი მერაბ იჩქიტიძე.

2026 წლის 27 მარტს ხარაგაულის ა(ა)იპ სპორტის ცენტრის სპორტულ დარბაზში ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა მინი ფეხბურთში , 2012-2013 წელს დაბადებულ მოსწავლეთა შორის, სადაც მონაწილეობა მიიღეს: სასულიერო გიმნაზიის, ვარძიის , ბორითის, ბორის,ვერტყვიჭალის, კიცხის,ღორეშის, დაბის მესამე საჯარო, დაბის მეორე საჯარო სკოლის და სპორტსკოლის სექციის მოსწავლეებმა.

2026 წლის 27-29 მარტს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს ლიგის ჩემპიონატი ტაეკვონდოში, სადაც წარმატებით იასპარეზეს ხარაგაულის ა(ა)იპ "სპორტის ცენტრი"-ს სოფელ ბორის ტაეკვონდოს სექციის მოსწავლეებმა. 59 კგ წონით კატეგორიაში II ადგილი დაიკავა ლუკა არჩვაძემ.მწვრთნელი დავით არჩვაძე.

2026 წლის 29 მარტს კასპის მუნიციპალიტეტში ჩატარდა კასპის ღია პირველობა სპორტულ კარატეში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის ა(ა)იპ"სპორტის ცენტრი"-ს ვერტყვიჭალის სექციის მოსწავლეებმა.

43 კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა ირაკლი ბლიაძემ.

63კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილზე გავიდა ვანო ბლიაძე მწვრთნელი თეიმურაზ ლაბაძე.

2026 წლის 3 აპრილს ხარაგაულის ა(ა)ი.პ სპორტის ცენტრის სპორტულ დარბაზში ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა კალათბურთში მოსწავლეთა შორის.(ვაჟები), სადაც მონაწილობაა მიიღეს, დაბისN2, N3, სასულიერო გიმნაზიის, ვერტყვიჭალის, ნადაბურის და ხევის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს დაბის N2 და დაბის N3 საჯარო სკოლის გუნდები დაუპირისპირდნენ, შეხვედრა დაბის N2 საჯარო სკოლის გუნდის გამარჯვებით დასრულდა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი სპორტის საერთაშორისო დღის აღნიშვნას შეუერთდა. სპორტის საერთაშორისო დღის ფარგლებში , დაბა ხარაგაულის ცენტრალურ პარკში ოლიმპიური გარბენი მოეწყო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის ა(ა)იპ სპორტის ცენტრის მოსწავლეებმა.

2026 წლის 17 აპრილს ხობის მუნიციპალიტეტში გაიმართა დასავლეთ საქართველოს პირველობა მკლავჭიდში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის ა(ა)იპ სპორტის ცენტრის სპორტსმენებმა. ტურნირზე ჩვენმა მოსწავლეებმა წარმატებით იასპარეზეს და საპრიზო ადგილები დაიკავეს:

60 კგ წონით კატეგორიაში, მარჯვენა და მარცხენა ხელში, პირველი ადგილი მოიპოვა სპორტის ცენტრის აღზრდილმა ახალგაზრდა მკლავჭიდელმა - ამირან კამკამიძემ.

80 კგ წონით კატეგორიაში,მარჯვენა და მარცხენა ხელში, მეორე ადგილი დაიკავა ხარაგაულის სპორტის ცენტრის მოსწავლემ ლუკა კიკნაძემ.

90 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა ხარაგაულის სპორტის ცენტრის მოსწავლემ ბექა ჭყოიძემ. მწვრთნელი მერაბ იჩქიტიძე.

ხარაგაულის ა(ა)ი.პ ,,სპორტის ცენტრი"-ს და ხარაგაულის ა(ა)იპ ,,კულტურის, ხელოვნებისა და შიდა ტურიზმის ცენტრის" ორგანიზებით 21 აპრილს, ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სააქტო დარბაზში, ახალგაზრდული ფესტივალის "გაზაფხულის ხარაგაული-2026"-ის, ფარგლებში, გაიმართა ჭადრაკისა და შაშის ჩემპიონატი მოსწავლეთა შორის.

ჩემპიონატში გამოვლენილი გამარჯვებულები, დააჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის სიგელებით და მედლებით.

ჭადრაკი(გოგონები)

I. ადგილი მარიამ ჭყოიძე (მარელისის საჯარო სკოლა)

II.ადგილი მარიამ ბლიაძე (ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა)

III. ადგილი მარიამ ჩადუნელი (ხუნევის საჯარო სკოლა)

ჭადრაკი (ვაჟები)

I.ადგილი ვაკო ჯავახიშვილი(ღორეშის საჯარო სკოლა)

II.ადგილი თამაზ ხაჩიძე(დაბის N2 საჯარო სკოლა)

III.ადგილი სანდრო ინასარიძე (დაბისN2 საჯარო სკოლა)

შაშში(გოგონები)

I.ადგილი მარიამ ჩადუნელი(ხუნევის საჯარო სკოლა)

II.ადგილი ანასტასია წიქარიშვილი(ღორეშის საჯარო სკოლა)

III.ადგილი ქეთევან კურტანიძე(ღორეშის საჯარო სკოლა)

შაშში (ვაჟები.)

I.ადგილი გიგა გოგოლაძე(ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა)

II. ადგილი ვახო ლომიძე (ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა)

III.ადგილი ოთარ ბექაური(სასულიერო გიმნაზია)

ხარაგაულის ა(ა)ი.პ ,,სპორტის ცენტრი"-ს და ხარაგაულის ა(ა)ი.პ ,,კულტურის, ხელოვნებისა და შიდა ტურიზმის ცენტრის" ორგანიზებით 24 აპრილს, ხარაგაულის ა(ა)იპ "სპორტის ცენტრი"-ს სპორტულ დარბაზში, ახალგაზრდული ფესტივალის "გაზაფხულის ხარაგაული-2026"-ის, ფარგლებში, გაიმართა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის პირველობა მკლავჭიდში მოსწავლეთა შორის.

2026 წლის 26 აპრილს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორითში გაიმართა "საგაზაფხულო ტურნირი" ფეხბურთში ორ ასაკობრივ კატეგორიაში 2012-2014 და 2015-2017 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის სპორტის ცენტრის ფეხბურთის სექციის,

ბორითის ფეხბურთის სექციის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. შრომის " ჩელეს" აკადემიის გუნდმა.

ორივე ასაკობრივ კატეგორიაში გამარჯვება ხარაგაულის ფეხბურთელთა გუნდმა მოიპოვა. მწვრთნელები: გოჩა გელაშვილი და პაატა ლურსმანაშვილი.

2026 წლის 21 აპრილს ქ.თბილისში ჩატარდა ფედერაციის მე-2 შიდა ტურნირი კიოკუშინ კარატეში, სადაც წარმატებით იასპარეზა ხარაგაულის ა(ა)იპ "სპორტის ცენტრი"-ს ხიდრის სექციის მოსწავლემ ნიკოლოზ გაგოშიძემ და დაიკავა I ადგილი.მწვრთნელი როინ ბერაძე.

2026 წლის 1-3 მაისს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს ღია ლიგა ტაეკვონდოში,სადაც წარმატებით იასპარეზეს ხარაგაულის ა(ა)ი.პ "სპორტის ცენტრის" ბორის და ვარძიის ტაეკვონდოს სექციის მოსწავლეებმა.

44კგ II ადგილი დემეტრე პაპიძე.

30კგ III ადგილი ინა ღონღაძე.

40კგ III ადგილი ბარბარე მდივნიშვილი.

51კგ III ადგილი ქრისტინე ხიჯაკაძე.

მწვრთნელი დავით არჩვაძე.

2026 წლის 8 მაისს ქ.ქუთაისში გაიმართა საქართველოს ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის იმერეთის რეგიონული ტურნირი მძლეოსნობაში, სადაც წარმატებით იასპარეზეს ხარაგაულის ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ ხევის მძლეოსნობის სექციის მოსწავლეებმა.

ტურნირის ერთ-ერთი გამორჩეული მონაწილე გახდა ბარბარე ლომიძე, რომელმაც სამ სახეობაში საპრიზო ადგილები მოიპოვა:

500 მეტრზე სირბილი — I ადგილი

სიგრძეზე ხტომა — III ადგილი

60 მეტრზე სირბილი — III ადგილი

მწვრთნელი სოსო ხაჩიძე.

ა(ა)იპ „სპორტის ცენტრი“ მუდმივად ზრუნავს სპორტსმენების მხარდაჭერასა და მოტივაციაზე. წლის განმავლობაში სპორტსმენებისთვის უზრუნველყოფილი იყო : სავარჯიშო სივრცეები, სპორტული ინვენტარი, ტურნირებში მონაწილეობა, მგზავრობის ორგანიზება, საჭირო სპორტული ეკიპირება, მწვრთნელების პროფესიული დახმარება.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ნიჭიერი და წარმატებული სპორტსმენების წახალისებას.

2025 წლის განმავლობაში ა(ა)იპ „სპორტის ცენტრში“ განხორციელდა სხვადასხვა სამუშაოები:

სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობა.

ინვენტარის განახლება

სავარჯიშო პირობების გაუმჯობესება

სპორტული აღჭურვილობის შეძენა

შეძენილი იქნა სხვადასხვა სპორტული ინვენტარი, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარა სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ხარისხიანად წარმართვას.

შეძენილია ა(ა)იპ „სპორტის ცენტრთან“ არსებული ვერტყვიჭალის კალათბურთის გოგონთა გუნდისათვის(მწრთვნელი ნუგზარი კაპანაძე) ღონისძიებებში მისაღებად 900 ლარის კალათბურთის სათამაშო ბოტასები (10 წყვილი).

ასევე ვერტყვიჭალის სპორტული კარატის (მწრთვნელი თეიმურაზ ლაბაძე) სექციისათვის შეძენილია კარატის კიმანო-ქამარი,დამცავი კენტუსი და დამცავი ფუტი,რომლის ღირებულებამ შეადგენა-974 ლარი.

ძიუდოს ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად (მწრთვნელი ზაზა ბერაძე) შეძენილია ძიუდოს კიმანო(4 ცალი)-520 ლარის.

ა(ა)იპ სპორტის ცენტრში, პირველ და მეორე სართულზე შეიცვალა დაზიანებული განათებები (პროჟექტორი 50 ცალი) ახლით,რომლის ღირებულებამ შეადგინა 2000 ლარი.

ა(ა)იპ სპორტის ცენტრის აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე შეძენილია დინამიკი-რომლის ღირებულებამ შეადგინა 700 ლარი.

ორგანიზაციისათვის, ღონისძიებების დროს საჭიროებამ მოითხოვა და შეძენილია 2 ცალი წყლის დისპანსერი-660 ლარის.

ღონისძიებაში მონაწილეების დასაჯილდოებლად შეძენილია სპორტული თასები-535 ლარის.

2025 წლის მარტში-ა(ა)იპ სპორტის ცენტრმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით შეიძინა საჭიდაო ხალიჩა (კომპლექტი) ,რომელიც გადაეცა ჩვენს ცენტრთან დაქვემდებარებულ, კიცხში ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სექციას (მწრთვნელი ლაშა ჩაჩანიძე)- ღირებულებამ შეადგინა 18700 ლარი.

2026 წელს:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით ა(ა)იპ სპორტის ცენტრში განახლდა სატრენაჟორო ოთახი.შეძენილია სარბენი ბილიკი,ველო ტრენაჟორი.

მძლეოსნობის სავარჯიშო მოწყობილობები (ჰანტელები,შტანგები,გირები,ბლინები,შტანგის ღერძები),რაგბის, ფეხბურთის და კალათბურთის ბურთები,ფიშკები,პომპა,წამზომი,სასტვენი, რაგბის ბურთის სადგამი-რომლის საერთო ღირებულებამ სულ შეადგინა - 21890 ლარი.

ა(ა)ი.პ„სპორტის ცენტრი“-ს საფეხბურთო წრეებს მიენიჭა მეოთხე კატეგორია, რის შედეგადაც ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდმა“ ა(ა)ი.პ„სპორტის ცენტრი“-ს საფეხბურთო წრეები(2 გუნდი) დააფინანსა 5000 ლარით,რომლითაც შეძენილია მწრთვნელის ეკიპირება,ფეხბურთის სათამაშო ორეულები გუნდებისათვის და მეკარის ხელთათმანები.

ასევე ამ პროგრამის ფარგლებში, საქართველოს სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდმა ხარაგაულის "სპორტის ცენტრი“-ს საჩუქრად გადასცა სპორტული ინვენტარი: ბურთები,წყლის მათარა,სანიშნი,დაფა,მინი სავარჯიშო ფეხბურთის კარი,სავარჯიშო წინაღობა,სანიშნი დაფა,სამუხლეები,ნაკიდკა,სავარჯიშო ხიდები.

ფინანსური საკითხები

2025 წლის განმავლობაში ა(ა)იპ „სპორტის ცენტრი“-ს ფინანსური საქმიანობა განხორციელდა დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში.

ფინანსური რესურსები მოხმარდა:

სპორტული ღონისძიებების დაფინანსებას

ტურნირებში მონაწილეობის ხარჯებს;

სპორტული ინვენტარის შეძენას;

ტრანსპორტირების ხარჯებს;

თანამშრომელთა ხელფასებს;

კომუნალურ გადასახადებს

სპორტული ობიექტების მოვლა-პატრონობას.

ფინანსური სახსრების ხარჯვა განხორციელდა მიზნობრივად და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ 2025 წლის ბიუჯეტი შეადგენდა - 935 920 ლარს.

საკუთარი შემოსავალი 2025 წლისათვის შეადგენდა 10 100 ლარს, აღნიშნული თანხა მიღებულია ტრენაჟორების, დარბაზის, მოედნის გაქირავების და ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან.“

ბიუჯეტიდან შრომის ანაზღაურებაზე დაგეგმილი იყო - 705 800 ლარი,

ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა - 631 720 ლარი.

სამივლინებო თანხებში დაგეგმილი იყო - 10 000 ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა - 6 746 ლარით (მათ შორის, ტრანსპორტირების ხარჯი, დღიური ნორმა და სასტუმროს ხარჯი).

ოფისის ხარჯში დაგეგმილი იყო - 41 950 ლარი, ფაქტიურად გახარჯულია 16 388 ლარი აქედან:

საკანცელარიო ნივთებისათვის - 654 ლარი.

კატრიჯების შეძენა დატუმბვისათვის - 240 ლარი.

გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკა -650 ლარი

სხვა მცირე ფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯები- 660 ლარი

ოფისისათვის სანიტარულ ხარჯებში გახარჯულია - 340 ლარი.

კავშირგაბმულობის ხარჯში დაგეგმილი იყო - 2 800 ლარი- დახარჯულია - 2068 ლარი.

საფოსტო მომსახურეობაში დაგეგმილი იყო - 100 ლარი - ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა - 60 ლარი.

კომუნალური ხარჯის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 11 716 ლარი, მათ შორის:

ელექტრო ენერგიის ხარჯის ფაქტიური შესრულება - 4 968 ლარს შეადგენდა.

წყლის ხარჯში გახარჯულია -1120 ლარი.

ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი გეგმით- 9 200 ლარიდან გახარჯულია 5 628 ლარი.

სამედიცინო ხარჯი გეგმით -400 ლარი ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა- 400 ლარი

რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებულ ხარჯებში დაგეგმილი -10 000 ლარიდან, დახარჯულია 2 404 ლარი.

ტრანსპორტის დაქირავების ხარჯში - 10 000 ლარიდან დახარჯულია 4111ლარი.(ტრანსპორტით მომსახურეობაზე დადებულია შესაბამისი ხელშეკრულებები).

საწვავის საპოხი მასალის (ბენზინი) ხარჯში დაგეგმილი- 700 ლარიდან დახარჯული- 260 ლარი.(მოედნის მოვლის მიზნით)

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების დაგეგმილი - 41 070 ლარიდან, დახარჯულია - 19 831 ლარი.

სოციალური დახმარების საბიუჯეტო მუხლის გეგმით - 13 000 ლარიდან დახარჯულია - 11 468 ლარი (ბიულეტენი).

სხვა ხარჯები (სპორტსმენებისნ ერთჯერადი ფულადი ჯილდო და სპორტულ ღონისძიებებში ბავშვების მონაწილეობის ხარჯი, სპორტსმენების კვება , ტრანსპორტირება, საწევრო) - 60 000 ლარიდან დახარჯულია - 18 616.

არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა შეადგენდა- 40 700 ლარს და ფაქტიური ხარჯი იყო - 33 980 ლარი, აღნიშნულ მუხლში შეძენილი გვაქვს :

საჭიდაო ლეიბი -18 700ლარი

სპორტული საქონლის და აღჭურვილობის შესყიდვის ხარჯია- 14 580 ლარი მათ შორის:

სარბენი ბილიკი -4000 ლარი

სტაციონალური ველო ტრენაჟორები -3200 ლარი

ჰანტელები/ორბირთვულები-800 ლარიჰანტელები/ორბირთვულები(4 ცალი) - 2400 ლარი

ჰანტელის ტიპის შტანგები -550 ლარი

ჰანტელი (2 ცალი)-1200 ლარი

ჰანტელი -900 ლარი

ტანის ზედა ნაწილების გასაძლიერებელი სავარჯიშო დანადგარი-1530 ლარი

2025 წელში ააიპ-ის საკუთარი შემოსავლიდან მიღებულია - 10 100 ლარი.

სულ 2025 წლისათვის საკუთარ შემოსავლებში გასახარჯი თანხა განისაზღვრა 22 379 ლარით, აქედან 2025 წელში გაიხარჯა 5 404 ლარი.

5 404 ლარის ხარჯვა განისაზღვრა შემდეგნაირად:

აუდიტის მომსახურეობის -250 ლარი

სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურეობაზე - 404 ლარი (თასები და მედლები)

რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯი -4470 ლარი

სამედიცინო ხარჯი -280 ლარი.

სპორტულ ცენტრში განთავსებული სატრენაჟორო დარბაზი განახლდა , შეძენილია სარბენი ბილიკი, ველო ტრენაჟორი, ჰანტელები,ტანის ზედა ნაწილის გასაძლიერებელი დანადგარი. ასევე სოფელ ვახანში გაიხსნა ქართული ჭიდაობის და სოფელ ხიდარში კიოკუშინ კარატეს სექციები.მნიშვნელოვანი საქმეა, მერია სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის ქართული ჭიდაობისთვის განკუთვნილი არენის გადახურვის ინიციატივა. ამასთანავე,მაქსიმალურად ვცდილობთ ფუნქციონალურად დავტვირთოთ მერიის მიერ სარგებლობის უფლებით გადმოცემული სპორტული მოედნები, რომლებიც განთავსებულია სოფლებში ,ადგილებზე დასაქმებულია

ტექნიკური თანამშრომლები,რომლებიც უზრუნველყოფენ მოედნების მოვლა-პატრონობებას. აგრეთვე, სპორტული დარბაზის შესასვლელში ჩატარდა გარკვეული ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

2026 წლის ფინანსური ანგარიში

2026 წლის 1 მაისი მდგომარეობით ბიუჯეტიდან შრომის ანაზღაურებაზე დაგეგმილია 282 000 ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 226 584 ლარი.

სამივლინებო თანხები დაგეგმილი იყო 3 600 ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 1 686

ოფისის ხარჯში დაგეგმილი იყო 18 000 ლარი, ფაქტიურად გახარჯულია -8421 ლარი

საკანცელარიო ნივთები - 335 ლარი

კატრიჯების შეძენა - 200 ლარი

ოფისისთვის სანიტარულ ხარჯებში გახარჯულია 267 ლარი

კავშირგაბმულობის დაგეგმილი 1 200 ლარიდან გახარჯულია - 462 ლარი

ფოსტის ხარჯი - 15 ლარი

კომუნალური ხარჯებში ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 7 142 ლარი, მათ შორის:

ელექტრო ენერგია - 2816 ლარი

წყალი - 284 ლარი

ბუნებრივი აირი - 4 042 ლარი

ტრანსპორტის დაქირავევის ხარჯში გახარჯულია 496 ლარი.

სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურეობის ხარჯში დახარჯულია 2 991 ლარი.

სოციალური მუხლში დაგეგმილი 4 000 ლარიდან გახარჯულია 609 ლარი.

სხვა ხარჯები (სპორტსმენების ერჯერადი ფულადი ჯილდო და სპორტულ ღონისძიებებში ბავშვების მონაწილეობის ხარჯი) – 21 000 ლარიდან დახარჯულია - 4 720 ლარი, აქედან გაცემულია ფულადი ჯილდო სპორტის ცენტრის წარჩინებულ სპორტსმენებზე - 4000 ლარი, 720 ლარი განიკარგა სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებში.

მუხლი-საკუთარ შემოსავლებიდან, დაიხარჯა თანხა 4 754 ლარი(რბილი ინვენტარის და უნი ფორმის შეძენის ხარჯი).

ა(ა)იპ „სპორტის ცენტრი“ აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის მერიასთან,საკრებულოსთან, საჯარო სკოლებთან,სპორტულ ფედერაციებთან, მშობლებთან,ადგილობრივ საზოგადოებასთან.

2026 წლისთვის ა(ა)იპ „სპორტის ცენტრი“ გეგმავს: მეტი ბავშვისა და ახალგაზრდის ჩართვას სპორტში, სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მეტი ტურნირისა და ღონისძიების ჩატარებას,წარმატებული სპორტსმენების მხარდაჭერის გაძლიერებას.

ცენტრის მიზანია მომავალშიც აქტიურად განაგრძოს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარება და სპორტის პოპულარიზაცია.

2025 -2026 წელი ა(ა)იპ „სპორტის ცენტრისთვის“ იყო აქტიური, დატვირთული და შედეგიანი.

ცენტრმა საანგარიშო პერიოდში,წარმატებით განახორციელა სასწავლო-სამწვრთნელო პროცესი, მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებაში და ხელი შეუწყო სპორტსმენების განვითარებას.

ა(ა)იპ „სპორტის ცენტრი“ მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას სპორტის განვითარების, ახალგაზრდების მხარდაჭერისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიმართულებით.სპორტის ცენტრის კარი სპორტით დაინტერესებული ყველა პირისთვის ღიაა.ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაანონსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაციისა და მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობის პროექტები ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარების შესაძლებლობებს მეტად გაზრდის.

პატივისცემით

ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“

დირექტორი: რევაზ შერგელაშვილი

15.05.2026 წელი